№ 146. 10 ივლისი, ხუთშაბათი 1866—1880 10 ივლისი, ხუთშაბათი. № 146.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

ვენახის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ ა. ლუარსაბ-რეთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებას"-ა „ივერიის" რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"—„Иверія"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება"-„ივერია" ერთად . . | 13 მან. . . | 7 მან. . | 4 მ. |
| ცალკე „დროება" . . . . . | 9 მან. . . | 5 მან. . | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" . . . . . . | 6 მან. . . | 4 მან. . | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 შაურ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ათ სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(სააგენტოსი)

ფილიპოპოლი, 7 ივლისს. დენ. სკობელევის დედა რომელიც ფილიპოპოლში მიდიოდა ლაზარეთის გასამართავად, ქალაქს ჩირპანში მოკლეს ფილიპოპოლის მახლობლად. იმასთან ერთად დახოცეს აგრეთვე გოგო, ამალი და სხვა ყველა, ვინც ახლდა. უცნობი მკვლელები ჯერ კიდევ დაჭერილები არ არიან.

პეტერბურღი. 8 ივლისს „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია: სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორი მარკოვი სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

ფილიპოპოლი, 7 ივლისს. იმ ადგილას, სადა სკობელევის დედა მოჰკლეს, ჟანდარები და ჯარი გაგზავნეს. მკვლელი აღმოაჩინეს; მაგრამ. როცა ნახა, რომ ჯარები გარს ახვევიან და გაქცევა აღარ შეუძლიან, თვითონ თავის ხელით მოიკლა თავი. იმის თანამოზიარე სამი ამხანაგი კი დაჭერილი არიან.

ათინა, 7 ივლისს. საბერძნეთის დეპუტატთა პალატი ენკენისთვის დამლევამდინ არ გაიხსნება.

ლონდონი, 8 ივლისს. გაზეთს „ტაიმსში" იწერებიან: სკობელევის დედის მკვლელი, როგორც აღმოჩნდა, რუსის კაპიტანი უსოვი ყოფილა. ჯარი რო შემოესვია დასაჭერად, ამ დროს იმან რევოლვერით მოიკლა თავი. სხვები კი ამბობენ, რომ გვარი უზატისი არისო.

## პირველი სკოლა ბათუმში

ტფილისი, 9 ივლისს.

რამდენიმე თვის წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ბათუმიდამ მიღებული წერილი, რომლის ავტორი გვაცნობებდა, რომ აქ, ბათუმში, ვილაც მიხაილოვმა აკრა კედლებზე განცხადებათ და სკოლის გახსნას აპირებსო. ამ განცხადებაში ერთი სიტყვაც არ არის მოხსენებული იმაზედ—თუ რომელ ენაზედ იქნება სკოლაში სწავლა, მაგრამ რადგან ბ. მიხაილოვი რუსი იყო და სხვა ენა არ იცოდა, იმას, რასაკვირველია, მარტო ამ რუსულ ენაზედ შეეძლო სწავლა.

მას აქეთ ამ სკოლაზედ სრულიად არა ისმის-რა და თვით ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ ბ. მიხაილოვის სკოლის საქმე ამ განცხადების კედელზედ აკვრით გათავებულა.

სამწუხარო მოვლენაც არ არის ეს. მართლა, რუსულ სკოლას ბათუმში ამ ჟამად ადგილი არ უნდა ჰქონდეს; არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმისთანა სკოლას, რომელშიაც სწავლა არა— სამშობლო ენაზედ იქნება, არამედ ყმაწვილებისათვის გაუგებარს ენაზედ. მადლობა ღმერთს, ჩვენში სწავლა-განათლების შემომღებ მთავრობამ გაიგო ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა იმ ენაზედ უნდა გარდაეცეს ყმაწვილებს, რა ენაც იმათთვის სამშობლო ენაა, რომელიც იმათ ესმისთ. გაიგო, რომ უცხო, გაუგებარ ენაზედ სწავლის გარდაცემით ყმაწვილის ტვინი ტყუილ-უბრალოთ იმახინჯება, წვალობს და ძვირფასი დრო უნაყოფოდ იკარგება, ვერც ამ უცხო ენას სწავლობს ბავში, სამშობლოსაც ივიწყებს და ვერც სხვა რაიმე სწავლას იძენს.

ჩვენში სწავლა-განათლების მოთავე მთავრობამ გაიგო ეს ჭეშმარიტება და ქართლ-კახეთის სასოფლო სკოლების შესახებ ამ ნამდვილს, გონიერს პედაგოგიურს გზას დაადგა.

იმ ვილაც ბ. მიხაილოვს, რომელიც ბათუმში სკოლას ხსნიდა და რუსულს ენაზედ სწვლის დაწყებას გვპირდებოდა, რასაკვირველია, ზემოხსენებული პედაგოგიური კანონი არ ჰქონია მხედველობაში, უეჭველია, ის მარტო თავის ჯიბის ინტერესისათვის ზრუნავდა და არა ხალხის სიკეთისა და სარგებლობისათვის. ამიტომაც, ვიმეორებთ, სამწუხაროთ არ მიგვაჩნიათ, თუ იმისი განზრახვა არ განხორციელდა, თუ იმან სკოლა ვერ გახსნა ბათუმში.

მით უფრო სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, რომ პირველ სკოლას ბათუმში ხსნის „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" კომიტეტი. ამ საქმის თაობაზედ, როგორც გაზეთშიაც იყო მოყვანილი, ბათუმში იყო გაგზავნილი ორი წევრი ზემოხსენებულ საზოგადოების კომიტეტისა ბ. ბ. გ. ე. წერეთელი და ნ. ზ. ცხვედაძე და ამათის მეცადინეობით სკოლისათვის კარგი ადგილი უშოვნიათ და ადგილობრივ ღუბერნატორს ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩენია და შემდეგშიაც დაპირებია დახმარება. ასე რომ იმედია, ამ მომავალ ენკენისთვისათვის ბათუმში დაარსდება პირველი რიგიანი სკოლა.

სასურველია, რომ ეს სკოლა სამაგალითო, მართლა რიგიანი და რამდენათაც შეიძლება უნაკლულო სკოლა იყვეს. ორი რამ არის აუცილებელად საჭირო ხეირიან სკოლის გამართვისათვის: მატერიალური საშვალება და რიგიანი მასწავლებელი. მატერიალურ ღონის ძიების მხრით, რამდენათაც ვიცით, „წერა-კითხვის საზოგადოება" არაფერს არ დაზოგავს. პირველ მოსაწყობად ამ სკოლისათვის საზოგადოება ნიშნავს 500 მან. და მუდამ წლიურ ხარჯად 1200 მანეთს. მასწავლებელს მუქთ სახლისა გარდა წელიწადში 800 მან. ჯამაგირი ექნება. მაშა-სადამე ფულის მხრით სკოლას დაბრკოლება არ ექნებაო.

რაიცა შეეხება მასწავლებელს—ამაზე მმართებს კომიტეტს კარგათ მოფიქრება და კარგათ მოძებნა. ყველა სკოლებში საჭიროა, რასაკვირველია,

## ფელეტონი

სამეცნიერო საუბარი

სასწაული მკვდარ, სასწაული ესდა.—ნივთიერება უკვდავი.—ნახშირის მოგზაურობა.—მარილის მოგზაურობა.—მარტივი სხეულები.—რთული სხეულები.—რისგან შესდგება დედა-მიწა? რისგან შესდგებიან მზე, მთვარე და მნათობები?

—

მახსოვს ერთხელ სკოლაში ყოფნის დროს ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა ჰკითხა ისტორიის მასწავლებელს, უწინ რომ იმდენი სასწაული ხდებოდა, ხან მკვდარს აღადგენდენ, ხან მზეს შეაჩერებდენ, ხან უკურნებელის სენით შეპყრობილს ერთის ხელის შეხებით გაჰკურნებდენ, რატომ ეხლა კი ამ გვარი სასწაული აღარა ხდებაო.

ისტორიის მასწავლებელი ძალიან ღვთის მოსავი კაცი იყო, ცოტა არ იყოს ეწყინა ეს კითხვა, პირველში შეკრთა, მაგრამ პატარა ხანს უკან წელში გაიმართა და უთხრა ჩემს ამხანაგს:

ქვეყანაზედ ბევრი რამ საოცარი ამბავი ხდება; თქვენ ამ ამბებზედ თვალი შეჩვეული გაქვთ და სასწაულათ აღარ გეჩვენებათ, თორემ, თქვენს სიცოცხლეში, ამ გვარი ამბავი მარტო ერთხელ რომ ნახოთ და სხვებისაგან მათზედ არა გაგეგონოთ რა, პირ-დაღებული, გაოცებული, შეშინებული დაუწყებთ ცქერას და მიზეზის გამოძებნას რომ ვერ შესძლებთ, ვინ იცის რა ეშმაკსა და ქაჯს არ გამონახავთ, რომ ეს საოცარი ამბავი დააბრალოთო.

სასწაული არ არის, მაშ რა არის, განაგრძო მასწავლებელმა, რომ უზარმაზარს სახლს ცეცხლი ერთს ორს საათში ფერფლად აქცევს და ვინ იცის სადა ჰქრება ის იმოდენა მასალა, რომლითაც სახლი აშენებული იყო? სასწაული არ არის, მაშ რა არის, რომ ერთს მარცვლის კაკლიდამ იმოდენა კაკლის ხე ამოდის, რომ მისს ჩრდილში მთელს პოლკს შეუძლიან თავის შეფარება? როგორ გგონიათ ყველა ეს სასწაული არ არისო; გვიბძანა ოსტატმა და ჩვენც მოწიწებით დავლუნეთ თავი; რაღა გვეთქმოდა ამ გვარს საბუთზედ.

მხოლოდ ერთმა ჩვენგანმა გაბედა ნელა ფეხზედ ნამოდგომა; იმას, ის იყო, წაეკითხა ერთი პატარა თხზულება ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენაზედ და შემკრთალმა მოახსენა მასწავლებელს, თუ მიბძანებ, მე შემიძლიან მაგ სასწაულების ახსნაო.

მასწავლებელი ღვთის მოსაობასთან ძალიან გულ-კეთილი კაცი იყო, გაეცინა ამ ბავშვის კადნიერებაზედ და დატური დასცა, გვიამბეო. ამ სიცილით წათამამებული ყმაწვილიც მოჰყვა და ჩვენც გულის ყურით ვისმენდით ყოველს მის სიტყვას.

„მე ასე წავიკითხე, რომ ქვეყანაზედ არც არაფერი იკარგება, არც არაფერი მატულობს; როდესაც იწვის რამე, მაშინ დამწვარი ნივთიერება ან ძირს ალაგზედ ფერფლათ რჩება, ან ჰაერში კვამლსავით ადის და იბნევა; ფერფლი და კვამლი რომ შევკრიბოთ და აწონვა შევიძლოთ, მაშინ მათი წონა თუ არ მეტი, ნაკლები არ იქნება დამწვარის ნივთიერების წონაზედ, თუნდ უზარმაზარი სახლიც იყოს დამწვარი. და როდესაც კი თვალით ძლივს დასანახავი თესლიდამ ვეება ბალახი ამოდის, ან კურკებიდამ დიდრონი ხეები, არც არაფერი მაშინ ჩნდება თავისით, მოზარდი ბალახი, ან ხე გარეშემო ჰაერიდამა და მიწიდამ ჰკრეფს თავის საზრდოს და იმითი იკვებება, იმითი იზდება.

კარგი მასწავლებელი; მაგრამ ისე არსად არ არის საჭირო კარგი მასწავლებელი და ამავე დროს კარგი კაცი, კარგი ქართველი, როგორც ბათუმის სკოლისთვის. აქ მარტო კარგათ ანაბანას სწავლის გარდაცემა არ კმარა მასწავლებლისათვის. ძნელად წარმოსადგენი არ არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებლები ამ თავითვე განზე და ეჭვით დაუწყებენ ცქერას ჩვენს სკოლას. ჯერ ჩვენშიაც რა ხმები და ჭორები დადიოდა ხალხში, როდესაც პირველად დაიწყეს სკოლების დაარსება! იმიტომ ხსნიან სკოლებს, რომ ჩვენს შვილებს რუსული ასწავლონ და მერე „ლეკრუტებად“ წაიყვანონო, უნდა გაასალდათონო, რუსეთში გაგვიგზავნიან ბიჭებსაო და სხვ. და სხვ. ჩვენში თუ ასე ლაპარაკობდნენ, ბათუმში რაღას უნდა მოველოდეთ, სადაც მაჰმადიანი ხალხი უიმისოთაც განზე უყურებს ყველა ჩვენს მოქმედებასა და ნაბიჯს, სადაც მოლლები უიმისოთაც ჩვენს წინაალმდეგ აქეზებენ ხალხს და ათასს რაღაც საშინელებას ავრცელებენ და ოსმალეთში გადასახლებას უქადაგებენ.

ამის გამო ბათუმში საჭიროა იმისთანა ქართველი მასწავლებელი, რომელმაც კარგათ იცოდეს იმათი ზნე, ხასიათი, რომელსაც შეეძლოს იმათთან საქმის დაჭერა, ერთობა, დახმარება, დარიგება. ძმურად ხელის-გაწვდვა გაჭირების დროს, რომელსაც ერთის სიტყვით იმათთვის გული შესტკივოდეს. თუმცა ქართულს ენითაც იოლათ წავა, მაგრამ კაგი იქნება, რომ იქაურ სკოლის მასწავლებელმა ოსმალურიც იცოდეს.

მხოლოთ ამისთანა მასწავლებელს შეუძლიან ბათუმის სკოლის რიგიანათ წაყვანა, რადგან მხოლოთ ამისთანა მასწავლებელი დაიმსახურებს ადგილობრივ ხალხის ნდობას, სიყვარულსა და პატივის-ცემას.

იმედი გვაქვს, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კომიტეტი ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და ეცდება იმისთანა სკოლის გახსნას ბათუმში, რომელიც გულით, სულითა და გონებით დაგვიახლოვებს ამ ჩვენ „ნაპოვნ“, მაგრამ ჯერ კიდევ განზე მაყურებელ ძმებსა...

## ახალი ამბები

კარგის მოსავლის იმედით პური და აგრეთვე თითქმის ყოველგვარი სხვა ხორაგეულიც თან-და-თან იაფდება ამ ჟამად ყველგან ჩვენში. ჯერ მოსავალი არც კია მოწეული და თუ ახლავე დაეტყო ფასების დაწევა, შემდეგში, როცა წლევანდელს უხვს მოსავალს მოიწევენ, უეჭველია, შარშანდელზე ერთი-ორად ყველაფრის ფასების დაწევას უნდა მოველოდეთ.

* * *

ამ სიცხისა და ავათმყოფობის გავრცელების ჟამს თან-და-თან უფრო ხშირად ისმის ჩვენის ქალაქის მცხოვრებლების საჩივარი და უკმაყოფილება სასაფლაოების თაობაზედ; განსაკუთრებით ვერის, სოლოლაკის და მთა-წმინდის მცხოვრებლები არიან შეწუხებულნი იმისაგან, რომ ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში სასაფლაოები დახურეს და არავითარი საშუალება არა აქვსთ, რომ თავიანთი მიცვალებულები ადვილად და დროზედ გაასვენონ ველაბარში, ჩვენ გვატყობინებენ, სხვათა შორის, რომ ამ სასაფლაოს სიშორის გამო, ხალხი არ მოდის მიცვალებულის გასასვენებლად და ამ სიცხეში ოთხი-ხუთი დღე გვისვენია შინ მიცვალებულიო, წამლები და გამყოლი არავინა გვყავსო.

სანამ ბაქოს რკინის გზა გაიმართებოდეს და სანამ ქალაქი საცხენო რკინის გზას გააკეთებდეს, ქალაქის რომელიმე უბნიდამ, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა ქალაქის გამგეობამ დროგები ან სხვა რამ მიცვალებულების გარდასატანი ღონისძიება მოიგონოს და ამ ნაირად შეუმსუბუქოს გაჭირვება ჭირისუფლებს, რომელნიც ამ ჟამად „მკვდრების უსტაბაშის“ ვიღაც შოლკოვის ხელში არიან და ეს რამდენიც ჰსურს, იმდენს ახდევინებს ამ ჭირისუფლებს, რადგან ამას გარდა სხვა გზა არა აქვსთ...

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ გუშინ-წინ ერთს თხუთმეტის წლის ყმაწვილს მთა-წმინდაზე თავის ახალგაზდა ა. ხ-ნაგი მოუკლავს უცა-ბიდათ თოფით.

* * *

რადგანაც მიცვალებულებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ესეც ვსთქვათ, რომ უფრო ძალიან ცუდი ჩვეულება არის ჩვენში: პირ-ახდილი კუბოთი ჩამოატარებენ ხოლმე ხშირად ქუჩებში მიცვალებულებსა. რამდენათაც ვიცით, ამ გვარად მიცვალებულის გატარება ქუჩებში ყველგან აღკრძალულია, ყველგან თავ-დახურულ კუბოთი გაიყვანენ მიცვალებულს შინიდამ და ასე ასაფლავებენ. ამას თავის მნიშვნელობა აქვს: შეიძლება მიცვალებული რაიმე გადამდების ავათმყოფობით მოკვდა და პირ-ახდილი, რომ იქნება, სხვებსაც გარდაედოს. ამას გარდა განა თვალთათვის, სასიამოვნო დასანახავია მიცვალებულის დანახვა!...

საჭიროა, ერთის სიტყვით, სამღვდელო და საერო მთავრობამ ამ ცუდ ჩვეულებას მიაქციოს ყურადღება და ფიცხელი განკარგულება მოახდინონ, რომ არავის ჰქონდეს უფლება თავ-ახდილი კუბოთი გაატარონ მიცვალებული ქუჩებში.

* * *

ქუთაისიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 4-ს ორ ალაგას გაჩენილა ამ ქალაქში ცეცხლი,—ერთი აჯია სიდავას სახლს ამისივე აფთიაქთან და მეორე სტ. თუმანოვის შენობას პოლიციის გვერდით. მაგრამ პოლიცია მარჯვედ ყოფილა და მალე დაუქრიათ. ამბობენ, აჯიას სახლს ძალად ჰქონდა ცეცხლი წაკიდებულიო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. კ. ზვარამაძე სთარგმნის ქართულად [illegible] ნილის ინგლისელის მეცნიერის [illegible] სლის ლექციებს „დარვინის თეორიაზედ.“ ეს ფრიად საინტერესო ლექციები ლონდონის მუშებისათვის იყო წაკითხული ამ რამდენიმე წლის წინათ.

* * *

გაზ. „მშაკში“ მწუხარებით სწერენ, რომ სოფ. კოდაში 52 მოსახლე სომეხი ცხოვრობსო და არც ერთ ამათ თავიანთი დედა-ენა არ იცისო, ყველა გაქართველებულიაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**საინგილო**, 5 ივლისს. ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა თვით ბუნებას ორად გაუყვია: ქვემო ნაწილად (ყარასავი—შავი წყალი) და ზემო ნაწილად. რამდენათ პირველში ზაფხულის დროს პაპასაქება, გაუძლისი სიცხე კაცს სულს უხუთავს, იმდენად ზემო ნაწილში (კახში და ამის მიდამოში) სულს უგრილებს. რამდენათაც ყარასავის შავი წყლები თბილა, იმდენათ ზემო ნაწილში ცივა. აგრეთვე ზამთარში: როდესაც ზემო ნაწილში მკაცრი, დიდ-თოვლიანი, ყინვიანი ზამთარია, იქ, ყარასავში თბილი, უყინვოა.

საკვირველია უფრო ის, რომ ზემო და ქვემო საინგილოს ნაწილების ხალხებიც ბევრით განირჩევიან ერთმანეთისაგან სიტყვა-პასუხითაც, ზნეობითაც და განათლებითაც.

ქვემო ნაწილში ხალხი უფრო მსუბუქი ხასიათისაა, ჩქარია, როგორც მიხვრა-მოხვრით, ისე ლაპარაკით; ზემოში უფრო მშვიდი, დინჯი, როგორც ქართველი იმერელთან შედარებით.

ბუნების სიმდიდრითაც განირჩევიან ეს ადგილები. ყარასავის ბუნება ისეთივე უხვი და მრავალ-ფეროვანია, როგორც ქვემო იმერეთი, ზემო კი მდიდარი, როგორც რაჭა.

ერთის სიტყვით, რომელი მხრითაც გინდა ავილოთ, ცხადათ დავინახავთ

---

რა იცოდა ამ ბავშვმა, რომ ამ ლაპარაკის დროს ის განუმარტებდა თავის მსმენელებს ერთს უმთავრესს ბუნების კანონთაგანს, რომელმაც უკანასკნელს საუკუნეში ძლიერის ნაბიჯით წინ წასწია მეცნიერება.

ეს კანონი არის „ნივთიერების უკვდავების კანონი“.

ნივთიერება უკვდავია; რამდენს მილიარდს ფუთსაც უწინ აიწონდა ჩვენი დედამიწა, იმდენსავე აიწონს დღეს, გარდა იმ აეროლიტებისა, რომელნიც დრო-გამოშვებით ცვივიან ჰაერის სივრციდამ დედამიწაზედ და რამდენსამე ფუთს უმატებენ მის წონას. არამც თუ დედამიწას, მთელის ქვეყნიერების ნივთიერებას არც არაფერი ემატება, არც არაფერი აკლდება. თუმცა თითქო დაწვის, ლპობის დროს ნივთიერება ჰქრება, თითქო ცხოველთა და მცენარეთა გაზდის დროს ნივთიერება ახლადა ჩნდება, მაგრამ ნამდვილათ კი არც პირველს შემთხვევაში ჰქრება რამე, არც მეორე შემთხვევაში რამ ჩნდება. რაც დაწვისა და დალპობის დროს თითონ ნივთიერებას აკლდება, გარეშემო მყოფთ ემატებათ და რაც ცხოველ-მცენარეთ გაზდის დროს ნივთიერება ემატებათ, გარშემო მყოფთ აკლდებათ.

ნახშირი იწვის, უერთდება ჰაერში მყოფს მჟავმბადს, აჩენს ერთგვარს ჰაერგვარს ნახშირ-მჟავეს, რომელიც თუმცა ადამიანს სასუნთქავად არას გამოადგება, მაგრამ მცენარეთათვის კი აუცილებლად საჭიროა; მცენარენი შეისუნთქვენ ამ ნახშირ-მჟავეს; გაამარტივებენ, ნახშირს შეითვისებენ და მჟავ-მბადს ჰაერშივე უბრუნებენ; მცენარე კვდება, მის შემადგენელნი ჰაერგვარნი მის დალპობის დროს ჰაერში იბნევიან; ხშირად ნახშირიც ხელ-მეორედ უერთდება ჰაერში მყოფს მჟავ-მბადს და ისევ ჰაერსავე უბრუნდება ნახშირ-მჟავეთ, მაგრამ ხშირად ეს მცენარის ნაშთი იმ გვარს ალაგს მოხვდება, სადაც ჰაერი თავისუფლად ვერ მუშაობს; სხვა ნივთიერებანი მალე მოსცილდებიან ნახშირს და ნახშირი კი ნახშირადა რჩება წყლის ქვეშ. ხშირად ამ ნახშირს მრავალი სხვაც ემატება და გროვდება ქვანახშირის მადანი, რომელიც რამდენიმე ათის და ასის, ათასის წლის შემდეგ ქვა-ნახშირის მუშებმა დედამიწის სიღრმიდამ უნდა ამოჰკაფონ და სხვა-და-სხვა ქარხნებში და რკინის გზის მატარებლებისათვის დასწვან.

ავიღოთ კიდევ სხვა მაგალითი:

ძროხა მარილსა ლოკს; მარილი შესდის სისხლში, ეთვისება; შემდეგ დაკვლისა მარილი ადამიანის ტანში გადადის ძროხის ხორცთან ერთად; ადამიანის ტანიდამ ან ოფლის მზგავსად გამოდის, ან სხვაფრივ, ან შემდეგ სიკვდილისა მიწას უბრუნდება; მიწაში მომდინარე წყაროებს გამოაქვთ ეს მარილი; მლაშეთ გამოჩუხჩუხებენ დედამიწის პირზედ, ჩადიან ზღვაში; მარილი ზღვის ფსკერზედ გროვდება და როდესაც ეს ფსკერი აურიცხველის წელთა სიმრავლის შემდეგ მაღლა აიწევა და მთათ გარდაიქცევა; ამ მარილს გამოსთხრიან მთების გვერდებიდამ და შეიძლება ისევ იმავე ძროხის ჩამომავალს დაუდონ წინ სალოკად, რომელზედაც ლაპარაკით დავიწყე ეს მაგალითი.

ამ გვარის მაგალითების დასახელება ძნელი არ არის: ყოველ დღე მთელს ქვეყნიერებაზედ ამ გვარი მოვლენა ხდება და ყოველი ნივთიერება თავის გზას ადგას, ივლის, ივლის, ხან ჰაერში მოექცევა, ხან უფსკრულში, ხან დედა-მიწის პირზედ, მაგრამ გაქრობა კი მისა შეუძლებელია.

განსხვავებას ზემო და ქვემო ინგილო-ში. მხოლოდ უპირატესობა მიეცემათ მათ ქართული ენის ცოდნაში: ქართული ენა იმათში ისრე არ არის დამახინჯებული, როგორც ზემო-საინგილოში; აქ უფრო წმიდათ, უფრო გარკვევით ლაპარაკობენ ქართულად, მინემ ზემოში. შესანიშნავია აგრეთვე ის, რომ ყარასავში სიტყვების ბოლოში უმატებენ სიტყვის ნაკვეთს „უე,“ როგორც რაჭაში; ზემოურებმა ეს არ იციან, თუმცა ოციოდე ვერსის სიშორეზე სცხოვრობენ; ასე რომ კაცი თუ დააკვირდება ყარასაველების ლაპარაკს დაინახავს, რომ ამათი ლაპარაკი ბევრით წაგავს რაჭველებისას, მინემ ქართლ-კახელებისას. გარდა ამისა ამათი ენა მოკლებულია ყოველგვარ ბილწ და უშვერ სიტყვას, თუმცა ამათი ახლო მეზობელი ქიზიყელები ბრიყვ სიტყვა-პასუხით განთქმულნი არიან მთელს საქართველოში.

რაიცა შეეხება ქრისტიანობას, უნდა სამწუხაროდ ვაღვიაროთ, რომ ყარასავში არც ერთი არ არის მონათლული, ყველა მაჰმადს თაყვანსა სცემს. ზემოურები კი, ერთი პატარა სოფლის სოსიკანის გარდა, ყველანი ქრისტიანები არიან.

უწინდელი ქრისტიანებრივი კვალიც უფრო მეტად ატყვია ზემო-ინგილოში. დიდი ეკკლესიები, დიდი ნაშთები იპოება ზემო-საინგილოში, მთის ფერდობებზე; როგორც ქიზიყელების მოსახლეობა ციც-გომბორ-სიღნაღის მთის ფერდობებზე.

განათლება უფრო მეტად შამოსულა ზემო-ინგილოებში: აქ დიდი შკოლა არსებობს სოფ. კაკში; იქ კი ჯერ ეხლა იხსნება სოფ. ალიაბათში.

ეს ერთი თვე იქნება, რაც ბ. ბოლუსლავსკი ნაიბობიდგან გადააყენეს. მას აქეთ შემაძრწუნებელი ამბები ხდება ჩვენს მხარეში. კეთილი ღვთისმოყვარე გლეხი კაცი იქელვება, შევიწროებაშია; ქურდი, ყაჩაღი, მტაცებელი კი ამაღლებული, პატივცემული. ამის გამო მთელი კაკის გლეხობა ორათ არის გაყოფილი; ერთს დიდს ნაწილს შეადგენს გლეხობა, მეორეს, მცირეს, ბეწვის ხიდით ჯოჯოხეთისკენ მიმგზავრები—ბესოშვილები და ტარტარაშვილები, ორიოდე კომლის გარდა. ამათი მოთავე და ბელადი არის ამირხან ბ—შვილი. ამათ ისეთ ნაირად მოაბეზრეს ხალხი, რომ ზოგიერთი გლეხი აპირებს აქედგან გადასახლებას, რომ რა არის ამ კაცის ენასა და ხრიკებს გადურჩეს. ვერც ჩივილი, ვერც დამუქრება, ვერც ვერაფერი ამ კაცს ვერ აჩუმებენ. ფულით, ფეხის გულების კოცნით ეს კაცი ყველას უძვრება, უმეგობრდება და მერე მოქმედობს.

ეხლა ისრე გათამამდა, რომ ხალხის ყრილობაში გამოვიდა და თავს იწონებდა, რომ კაკში ნაიბიც მე ვარ და ნაჩალნიკიცაო.

ბოლუსლავსკის მოადგილეთ კაკის ნაიბათ ვიღაც თავ-მოპარსული უზბაში (მამასახლისი) გაუმწესებიათ დროებით და საქმის მწარმოებლათ ვიღაც ნაციმბირალი აბდულლა გ—ჯევი. მამასახლისი უსწავლელი კაცია, ამით სარგებლობს ა. გ—ჯევი და როგორც ჰსურს, ისრე მიჰყავს საქმეები,

ბოლუსლავსკის შემდეგ დივანხანა დამგზავსებია რაღაც სამიკიტნოს; ვინც არ გეგონება, იქ დაგხვდება; ყოველ დღეს ქეიფ-ლხინში არიან...

ერთის სიტყვით, თუ ყურის მთხოვებელი არ ეყოლა ხალხს, ბევრი უმანკო სული დაიჩაგრება და სისაძაგლე ჩაიდინება

მ. —შვილი.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივ-ცემულის გაზეთის მე-132 №-ში დაბეჭდილი არის მცირედი შენიშვნა იმაზედ, ვითომც მე ვხმარობდე ყოველ ღონისძიებას კონდოლის სკოლის დაკეტისათვის. მე ვერას მოგახსენებთ ეხლა, მხოლოდ გთხოვთ უმორჩილესად ამ ჩემს წერილს მისცეთ ადგილი და ეგების ამის შემდეგ მაინც დაბეჭდოს ბ. „ობზორის“ რედაქტორმა ჩემი პასუხი ამავე საგანზედ, რომელიც 15 მაისს გაუგზავნე ჩემს თბილისში მყოფობის დროს და დღევანდლამდინ არ აღმოჩნდა არც ერთს ნომერში. ამ პასუხიდამ თქვენც შეიტყობთ ჩემს სიმართლეს.

იქნება ჩემი ხსენებული პასუხი ბ. „ობზორის“ რედაქტორს არ მოეწონა, იქნება იქ აზრი აზრთან მიკერებული არ იყოს, ან მჭევრმეტყველებით არ იყო დაწერილი, ან ბევრი რამ სხვა ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ ვსასოებდი, რომ პასუხიც უნდა დაებეჭდნა, თუ კი სხვისი კორრესპოდენცია დაბეჭდეს ჩემდა შესახებ. დასწყევლოს ღმერთმა იღბალი, ჩემთვინაც კარგი იყო, რომ პრუდონის მსგავსი ვყოფილვიყავ, მაგრამ ბედნიერებად ჩემს გამოუცდელს კალამს ჯერ არ უსწავლია ტყუილ-უბრალო ცილის-წამება. ეხლა ორი აზრი მაქვს დარჩენილი: „სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო“ კიდევ: „ყბედი რამ მოლალა, მუნჯმაო.“ არ ვიცი რომელს მივენდო ამ ორ აზრთაგანს. ისევ უკანასკნელს მივენდობი, რადგან სჩანს, რომ თუ მღვდლებზედ დასწერენ რამე, მართალია და პასუხი მათზედ არ უნდა დაიბეჭდოს.

თქვენი პატივის-მცემელი ბლ. მდ. მ. ხელაევი.

ქ. თელავი, 27 ივნისს 1880 წ.

## ნარკვევი

—

*⁎* ერთი მიზეზთაგანი, რომელიც ფრთისასხმას უშლის ჩვენს ქველმოქმედს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „რიგიან სახალხო მასწავლებელთა საკმაო რიცხვის უყოლველობა არის. ამ მიზეზის თავიდამ აცილებისათვის ხანგრძლივი სჯა ჰქონდათ ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ, როგორც ჩვენმა [illegible]ლებმა იციან, წლევანდელს სხდომის დროს. ახლა ყური დავუგდოთ რუსული გაზეთის „გოლოსის“ აზრს მიზეზის მოსპობის თაობაზე რუსეთში, სადაც ჩვენსავითვე საჭიროებენ სახალხო მასწავლებლებს:

„უეჭველია, რომ მარტო საოსტატო სემინარიები მასწავლებელთა საკმაო რიცხვს ვერ გვიზრდიან, და გარდა ამისა ძვირათაც ჯდებიან. აუცილებლად საჭიროა საოსტატო კურსების დაფუძნება, რომელთაც მიზნად უნდა ჰქონდეს პედაგოგიური მომზადება შუათანა განათლების მქონეთა, და საზოგადო განათლების მიცემა და პედაგოგიური მომზადება მათთვის ვისაც ზემოხსენებული განათლება არა აქვთ.“

„გოლოსის“ სიტყვით ეს კურსები უფრო იაფადაც დაჯდებიან, ვიდრე საოსტატო სემინარიები და უკეთესად მომზადებულ მასწავლებელთაც მისცემენ ხალხს, რადგან სემინარიებს სამი წლის კურსი აქვთ და მათში პირველად შემსვლელთ ორ-კლასიან სახალხო სასწავლებლების კურსზე მეტი ცოდნა არ მოეთხოვებათ. რასაკვირველია, საოსტატო კურსებში უფრო რიგიანად იქნება სწავლა, მიტომ რომ აქ ორი წლის კურსი იქნება და სამაზრო სასწავლებლის კურსზე ნაკლები ცოდნა პირველადვე ერთს შაგირდსაც არ ექნება, და სემინარიებში 3 წლის კურსია და შაგირდებმა (სწავლის დაწყების დროს) ორ-კლას. სახალხო სასწავ. კურსზე მეტი არ იციან.“

გაზეთის გამოანგარიშებით „რიგიანი კურსის გამართვისათვის საკმაოა, მეტ-ნაკლებად 7,000 მან. და საგანგებო შენობაც საჭირო არ არის, თუ იქ სადაც კურსი უნდა გაიხსნას რაიმე სასწაელებელი კია: კურსების შაგირდებს შეუძლიანთ საღამოობით ისწავლონ ამ სასწავლებლებში.“

ერთის სიტყვით „გოლოსის“ აზრით საოსტატო კურსების მასწავლებელთ მომზადებისათვის ბადალი არა ჰყავთ.

---

კიდეც ამიტომ დაარქვეს ამ საყოველთაო მოვლენას „ნივთიერების უკვდავობის კანონი.“

არა თუ მთელს ქვეყნიერების ნივთიერების რაოდნობა შეუცვლელათა რჩება, ცალ-ცალკე განმარტებულის ნივთიერების რაოდნობასაც კი არც ემატება, არც აკლდება.

ამის გასამართებლად საჭიროა ავხსნათ, რომ ქვეყანაზედ სულ სამოცდა-ხუთამდის მარტივი სხეულია, ე. ი. იმისთანა სხეული, რომელიც სხვა სხეულზედ არ შეიცვლება და რაც უნდა გავაცხელოთ, ან გავაციოთ, თუ ჰაერ-გვარათ ვაქციოთ, მაინც თავის თვისებას არ დაჰკარგავს.

მაგ. წყალი, თუმცა მარტივ სხეულსა ჰგავს, მაგრამ ძალიან ადვილია მისი გაყოფა ან სიცხით, ან ელექტრიულის ძალით ორს მარტივს უფეროულსა და უგემოს ჰაერ-გვარად, რომელსაც ჰქვიანთ მჟავ-ბადი და წყალბადი. პირველში, რომ ჩასდო ანთებული რამე, სინათლე ერთი ათად მოემატება და მალეც დაიწვის, მეორე კი თითონ იწვის და როდესაც ცეცხლს წაუკიდებენ, სამთელსავით ანთია, მაგრამ მეტათ მკრთალს ნათელს კი სცემს. ეს ორი ჰაერ-გვარი, რაც უნდა ვუყოთ, მაინც თავიანთ თვისებებს არ დაჰკარგვენ და მარტივად დარჩებიან.

ამ გვარათვე, როგორც წელანა ვსთქვი, სამოც-და-ხუთამდე მარტივი სხეულია, ზოგი ჰაერ-გვარი (მაგ. მჟავმბადი. წყალმბადი, აზოტი და სხვ.), ზოგი მაგარი სხეული (მაგ. ნახშირი), ზოგი ლითონი (მაგ. რკინა, ვერცხლი, ოქრო და სხვ.), რომელნიც თავიანთ თვისებას არ იცვლიან.

ყოველის ამ გვარის მარტივის სხეულის რაოდნობაც გადაჭრილია მთელს ქვეყანაზედ, ასე რომ რაც უნდა ეცადონ ამ რაოდენობას ვერც არაფერს მოუკლებენ, ვერც არაფერს მოუმატებენ.

რა ტყუილათა წვალობდენ ძველი ასტროლოგები და იხეთქდენ თავს იმისთანა ფილოსოფიურის ქვის საპოვნელად, რომელსაც სხვა ნივთიერების ოქროდ გარდაქცევა შესძლებოდა. იმათ არ იცოდნენ, რომ ოქრო მარტივი ნივთიერებაა და სხვა ნივთიერებად შეცვლა, ან სხვა—ოქროდ, შეუძლებელია, თორემ, ეს რომ სცოდნოდათ არ დაჰკარგავდენ ტყუილად აურიცხველს შრომას ფილოსოფიურის ქვის ძებნაზედ.

ამ სამოც-და-ხუთის მარტივის სხეულისაგან შესდგებიან ყველა ის ქვები, ცხოველები, მცენარეები, ზღვები, მთები, რომელთაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ; წარმოიდგინეთ ამ მარტივის სხეულებისაგანვე შესდგებიან მზე, მთვარე და სხვა ცის მნათობნი.

ეგ საიდგანღა იციო, წამოიძახებს გულ-მოსული მკითხველი; სწორეთ იქ ახვიდოდი და შეიტყობდიო.

ამისათვის იქ ასვლა საჭირო არ გახლავთ; ერთგვარის უბრალო მაშინით შეიძლება შემოწმება, რომლსაც ეხლა კი ვერ აგიწერთ და იქნებ კი როდისმე აგიწეროთ. ეხლა კი გეტყვით მხოლოდ, რომ ის ჰაერლიტები, რომელნიც ცის სივრცეში დაცურავე და ხშირად დედა-მიწაზედ დაეცემიან, შესდგებიან სწორეთ იმავე ნივთიერებისაგან, რომელითაც შესდგება ჩვენი დედა-მიწა; მაგრამ მათში უფრო რკინა და ნიკკელია. ეს უკანასკნელი ლითონი ძვირად შეხვდება კაცს დედა-მიწაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** არც ერთი საქმე არ მოდის რუსეთში ისე უხეიროდ, იმდენი როგორც რკინის გზისა. რუსეთის რკინის გზები ყველგან განთქმულია თავიანთ უხეირობით, ნელის სიარულით და ბევრის გადასახადით. ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს რუსულ-ჟურნალ-გაზეთებმა და მმართებლობამაც ბოლოს დროს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს. ჩვენის გაზეთის გუშინდელს „რუსეთი"-ს განყოფილებაში დაბეჭდილი იყო, რომ მთავრობას კიდევაც დაუნიშნავს რკინის გზის საქმეთა გასაუმჯობესებლად კომმისია, მალე, ამასთანავე იურიდიკული განყოფილების დაარსებასაც მოელიანო. გაზეთი „მოლვა" ამის თაობაზე ცოტა არ იყოს ხეპრულად ამბობს:

„ვითომ სახელმწიფო კონტროლის მოხელენი სხვა სისხლისა და ხორცისანი არიან, რომ მათ შეეძლოსთ რკინის გზის საქმეთა გაუმჯობესობა თუ ეხლანდელთა გზის ინსპექტორებს არ შეუძლიანთ?

მეორე გაზეთი „რუსის კურიერი" ამაზედ ამბობს:

„ამაზედ „მოლვალს" პასუხის მაგიერ კითხვა შეიძლება მიეცეს: განა თვითონ ინსპექტორები კი სხვა სისხლისა და ხორცისანი არიან, რომ მათ შეეძლოთ რიგიანად რკინ. გზ. საქმეებზე თვალ-ყურის დევნა?

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კარგად მომართული; მხნე კონტროლი ძალიან გააუმჯობესებს სარკინისგზო საქმეს."

„რუსის კურიერის" აზრით თუ ამისთანა კონტროლი არ იქნა, ეხლანდელი ინსპექტორების კონტროლი რაც უკან არ დასწევს, ხეირს მაინც არაფერს დააყრის რკინის გზას, რომელსაც ბევრის სიკეთის მოტანა შეუძლია, თუ კარგად მომართვენ მისს საქმეებს.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და უმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი—სირურგიულ ავათმყოფ., ყურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასხუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ყურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და უმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი—ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—სირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასხუტოვი—ბებიობის, ქალისა და უმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ყურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ყურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---

# განცხადებანი

—

### დაბოლოებითი

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პარუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან არის.

(10—4)

---

### ახლანდელ დიდს

# გამოფენის

### დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შექმეთილია შეფუთულში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფუთულის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქ. 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—32)

---

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში.

(40—18)

---

### შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

### მაკ-მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—16)

---

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES'*-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისამებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აეკჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

### პატენტიანი შხოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდურ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—21)

---

### სოფელში და მოგზაურთათვის

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატ-მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

—

### წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—23)

---

### ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ თორმეტს ამა ივლისს, შაბათს, იმის თანდასწრებით, გამგეობის სადგომზე იქნება ვაჭრობა ქალაქის ქუჩების განათების იჯარით გაცემაზე,—ორის წლის ვადით. (რიცხვი ფარნებისა არის ორას სამოც-და-რვა,) ვაჭრობა იქნება სიტყვიერი, მაგრამ მსურველს შეუძლია დაბეჭდილის კონვერტითაც შემოიღოს ვაჭრობაში.—როგორც სიტყვიერი ისე დაბეჭდილის კონვერტით წინადადებები შემოტანილნი უნდა იქნენ ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდე, ვაჭრობა დაიწყება 12-ს საათზე, გათავდება ორს საათზე. იჯარის პირობების (კონდიციის) გაცნობა შეიძლება ყოველ დღე თავათ უპრავაში, დილის ცხრა საათიდამ ვიდრე 2-ს საათამდე.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი